ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/10

დაბა ქედა,

28 ივლისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 11:50 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 17.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/10 მორგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 ივლისი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	—
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	—
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №01-06/10 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსის მ.შ.: მერაბ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ქონების მართვის
განყოფილების უფროსის მ.შ.: მერაბ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ ფრაქციის სახელით წინადადებით მიმართა სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძეს და საკრებულოს წევრებს პირველ საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადატანის თაობაზე, საკითხის გადატანის მიზეზად დაასახელა ფართო განხილვა კომისიასა და ბიუროს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წინადადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხი უკვე განხილული იყო როგორც კომისიის ასევე ბიუროს სხდომაზე, თუმცა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს მიერ წარმოდგენილი წინადადება პირველი საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადადების თაობაზე კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3 (შორენა კარანაძე,ირაკლი მახარაძე და დავით სირაბიძე)
წინააღმდეგი - 14

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 3

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №01-06/10 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელმა მერაბ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232051-95, 24.07.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისებაზე - მართვის უფლებით 29 წლის ვადით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება.

აქვე აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წელში შემოვიდა შპს „ტექტო ჯგუფი"-ს (ს/კ 445626653) წერილი, რომლითაც შემოთავაზებულია წინადადება, საფეხბურთო კლუბ „ბეთლემი"-ს წილის მართვის უფლების გადაცემაზე შესაბამისი საინვესტიციო პირობების გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტი არის შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/კ 446754245) 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორი. წესდების თანახმად, საზოგადოების მიზანია ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია, ქედის საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა და განვითარება, ეროვნულ ან/და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მიღება. მიმდინარე პერიოდისათვის საზოგადოებას არ აქვს რაიმე სახის ვალდებულებები, არ ერიცხება არც დებიტორული და არც კრედიტორული დავალიანება, ასევე საკუთრებაში არ აქვს რაიმე სახის უძრავი ქონება. *სსიპ ლევან* სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№003614923; 30.05.2023 წლის) მიხედვით, საფეხბურთო კლუბის მართვის უფლებით გადაცემის ღირებულება, მიმდინარე პერიოდისათვის შესაძლებელია განისაზღვროს საორიენტაციოდ 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ ხდება შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს დაფინასება ქედის მუნიციპალიტეტიის მერიის მიერ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს წარმოდგენილი საკითხის მიღების შემდეგ თუ გაგრძელდებოდა ბავშვთა საფეხბურთო გუნდის დაფინასება და აქვე აღნიშნა,

რომ კარგი იქნებოდა საკითხის მიღებისას ყოფილიყო ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს წარმომადგენელიც. აქვე განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წევრები კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

მომხსენებელმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერია დღემდე აფინანსებდა ბავშვთა საფეხბურთო გუნდს და სამომავლოდ გაგრძელდებოდა თუ არა მერიის მიერ სუბსიდირება დაზუსტებით ვერ გასცემდა პასუხს, რაც შეეხება შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს დაფინანსების საკითხს განმარტა, რომ მისი დაფინანსება არ ხდებოდა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232092, 28.07.2023 წელი).

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მერაბ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231811-95, 30.06.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების - დაბა ქედა აკაკი წერეთლის ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 79.14 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.34.282) აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, 10 წლის ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება.

აქვე აღნიშნა რომ აღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზანს წარმოადგენდა შემდეგი გარემოება ქალაქ ბათუმის მცხოვრები მარინა ნაკაშიძე (პN61008004824) მუნიციპალიტეტის მერიაში შემოტანილი განცხადებით (თან ერთვის) მოითხოვს დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა N1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის კუთვნილი შენობა-ნაგებობის (ს/კ 21.03.34.282) ნაწილის, კერძოდ 79,14 კვ. მეტრი ფართის იჯარის წესით გასხვისებას. სადაც პერსპექტივაში დაგეგმილი აქვს სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობა, რომლის ამოქმედებისათვის გამოთქვამს მზაობას განახორციელოს 50000 (ორმოცდაათიათასი) ლარის ინვესტიცია და იღებს ვალდებულებას დაასაქმოს მუდმივად 6 ადამიანი. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია აღნიშნული შენობა-ნაგებობის (ს/კ 21.03.34.282) თავისუფალი - 79,14 კვ. მეტრი ფართი გაიცეს დროებით სარგებლობაში, 10 წლის ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირობით, ელექტრონული აუქციონის წესით ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. დასახელებული ქონება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო"-ს მიერ შეფასებულია 63071,00 (სამოცდასამიათას სამოცდათერთმეტი) ლარად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232091, 28.07.2023 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 11:50 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**